საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიოგიძე ოთარ შუქრის ძე

დიოგიძე ოთარ შუქრის ძე (დ. 13. IV. 1954, ბათუმი), ქიმიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2004).

1977 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ქიმიის ფაკ-ტი. 1977–86 მუშაობდა სოფ. ურავის (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) სამთო-ქიმიურ ქ-ნაში მთ. ტექნოლოგად. 1986–96 ეწეოდა პედ. საქმიანობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტში.

1996–2005 იყო ბათუმის საზღვაო აკად. რექტორი, 2004-იდან კი – ამავე აკადემიის პროფესორი.

დ-ის სამეცნ. კვლევები ეძღვნება ზესუფთა დარიშხანისა და მისი ნაერთების მიღების ტექნოლოგიას. აქვს პატენტი „დარიშხანმჟავა ეთერების მიღების ხერხის შესახებ".